ISSN 0132-6015



ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიფიცა, უფრომელი შემოსავალი ჩემი კარის ზღურგლს ვერ გადმოაგიჯებსო, ჰოდა, ფანჯრიდან შეაქვს.

ნიანგი

№ 17 სექტემბერი

1986 წ.

— აჰა, არაა? კი! დამიჯერე, ქალო, ასე აჯობებს, კარგ კამპანიას გადავიხდით. სულ დარჩეულ და საჭირო ხალხს მოვიწვევთ, თან ბავშვის ნათლობასაც ჩავატარებთ და, რაც მთავარია, ნათვლასთან დაკავშირებით „შაბაშის“ სახით აკრეფილი და შემოსული ფული ხარჯებსაც გაგვისტუმრებს. მაგი კი არა და, უკვე ვიანგარიშე: ხარჯის გარდა, კაი გვარიანი თანხაც დაგვრჩება! მტერმოყვარეს თვალს დავუყენებთ! აჰა! ასე ვიცი მე! ჰოდა, ასე! დატრიალდი ახლა შენებურად! დანარჩენი კი ჩემზე იყოს! — აღგზნებული ელაპარაკებოდა მეუღლეს **ხაშურის რაიონის სოფელ მონასტრის მცხოვრები ბონდო გელაშვილი** და თან მოსაპატიჟებელი სტუმრების სავარაუდო სიას ადგენდა.

— ეშმაკს არ სძინავს! ახლა მთელი სოფლის ლოთიფოთები არ მორეკო აქ!

— შენს საქმეს მიხედე, დედაკაცო! უყურე ამას შენ?! ჩემი საქმისა მე ვიცი!

ბონდო გელაშვილმა მართლაც იმარჯვა. რომ იტყვიან, სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, ნათლობაში მოპატიჟებულთა რიცხვი ასამდე აღწევდა. მასპინძლები წინასწარ ტკბებოდნენ „შაბაშის“ შედეგით!..

მასპინძლის მიერ წინასწარ შერჩეულმა თამადამ თავისი ადგილი დაიკავა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, ტიკჭორასავით წამოზრდილი მუცელი მაგიდის კიდეზე ჩამოასვენა, ლიტრიანი ყანწი პირწმინდად გაასუფთავა, წინასწარ დაზეპირებული სადღეგრძელო გონებაში ერთხელ კიდევ გაიმეორა და საქმეს შეუდგა!..





ფელეტონი

სერობა სულ რაღაც ნახევარი საათის დაწყებული იყო, რომ თამადის „წყალობით“ მოქეიფეთა ნაწილი უკვე „უფალმა მიიღო“, თამადას ყურადღებას არავინ არ აქცევდა, ვისაც როგორც სურდა, ისე იქცეოდა!..

გამოცდილმა თამადამ შეატყო, რომ სუფრის სადავეები ხელიდან გაექცა და უკანასკნელ ხერხს მიმართა — „შაბაში“ გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, ხმაური კვლავ გრძელდებოდა. სამაგიეროდ ცოლ-ქმარი გელაშვილები, თუმცა არ იმჩნევდნენ, მაგრამ გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს „შაბაშის“ მსვლელობას. მასპინძლები, სიხარბესთან ერთად, სიხარულსაც ვეღარ მალავდნენ, როცა უყურებდნენ, თუ როგორ ივსებოდა სპეციალურად „შაბაშისათვის“ გამიზნული ხონჩა ათ და ოცდახუთმანეთიანებით, მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. რომ იტყვიან, ღვინით გალახულს ჯოხით გალახული ჯობიაო, სწორედ ასე დაემართა ბონდო გელაშვილის სტუმარს — **ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანის თანაშემწეს გაიოზ ლომიძეს.**

თამადას აუხირდა, აქაოდა, სასმელებს ბოლომდე არ ცლიო. როცა თამადასთან ვერაფერი გაუვიდა, მეზობლად მჯდომი **თამაზ შერგელაშვილი** ამოიჩემა, არც სტუმარ ქალებს მოერიდა და ბილწსიტყვაობის კორიანტელი დააყენა.

„ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო“, — გაიფიქრა შერგელაშვილმა, სუფრა დატოვა და შინისაკენ გაუდგა გზას.

— ამას რას ვხედავ, ხალხო?! სუფრა შეგვიგინა, თამადისაგან ნებართვაც არ აუღია, სუფრა ისე მიატოვა! — შეიცხადა **გაიოზ ლომიძემ**, მაგიდიდან წამოიმართა, სუფრას ორბივით გადაევლო და სოფლის ორღობეში სახლისაკენ მიმავალ თამაზ შერგელაშვილს გამოენთო, დაეწია კიდეც, მძლავრად მოქნეული მუშტი სახეში სთხლიშა და ძირს დასცა!..

ბონდო გელაშვილის სერობაზე შეკრებილი სტუმრები ჩხუბსა და ყვირილზე გარეთ გამოეფინნენ. ნათქვამია, გამშველებელს მეტი მოხვდაო, და ასეც მოხდა.

გამძვინვარებული გაიოზი კვლავ შერგელაშვილისაკენ იწევდა საცემრად. ამის საშუალება რომ არ მისცეს, ახლა სტუმრებს დაერია, **ნათელა ლურსმანაშვილი** ხელის კვრით ღობეს მიანარცხა, ყავარჯნებს დაყრდნობილი **ოთარ ლომიძე** ძირს დასცა, მის ფეხმძიმე მეუღლეს **დარეჯან ლომიძეს**, რომელიც წაქცეულ ქმარს მიეშველა, წიხლი ამოარტყა, ასევე ხელით შეეხო **ნ. ღონღაძესა და მ. ბლიაძეს!..**

— ყოველი ლოთი ამქვეყნად მოღალატეა თავისა! — ხმამაღლა იმეორებს ახლა გაიოზ ლომიძე ვაჟაფშაველას სიტყვებს, მაგრამ უკვე გვიანაა თითზე კბენანი. სამართალმა მის მიმართ უკვე თქვა თავისი საბოლოო სიტყვა. რაც შეეხება **ბონდო გელაშვილს**, თუ რამდენი მანეთი დარჩა მას ღრეობისა და „შაბაშის“ შემდეგ, ჩვენთვის გაურკვეველია.

ზაალ მესენგისერი,
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტუმრო „თ ბ ი ლ ი ს ი“, სოხუმში შავი ზღვის სანაპიროზე რომ მდებარეობს, გახურებული საკურორტო სეზონის ჟამს, 24 ივნისს, როგორც ყოველთვის, სტუმრებით იყო გატენილი. ამ საკმაოდ მაღალი შენობის წინ ასევე საკმაოდ განიერი მოედანია. მოედანი ისე დაუხაზავთ, თითქოს წინასწარ მიუჩენიათ ადგილები იმ მანქანებისათვის, რომელნიც უმთავრესად გვიან, ნაშუადამევს მიადგებიან ხოლმე სასტუმროს თავიანთი მგზავრებითურთ...

გამონაკლისი არც ის საღამო იყო. წავთვლიმე და უცებ ატყდა ერთი გუგუნ-ღმუილი: ხალხით დატვირთული რამდენიმე ავტობუსი სულ ცოტა ათიოდე წუთს მაინც მოუნდა არჩეული ადგილების დაკავებას. ამის შემდეგ მანქანებიდან მგზავრები ჩამოლაგდნენ. რასაკვირველია, ერთმანეთს რაღაც გადასძახ-გადმოსძახეს, ცოტა ხანს იყაყანეს და ჩაწყნარდნენ. ეტყობა, სასტუმროს წინასწარ დაჯავშნულ თუ დაკავებულ ნომრებს მიაშურეს...

საერთოდ, სასტუმროსწინა მოედანი ხმაურიანია და, მართალი გითხრათ, სიწყნარის დამყარებას ასე ადრე არ ველოდი. ამ ამბით გახარებულმა ზეწარი თავზე წავიხურე და თვალები ისევ საგულდაგულოდ დავხუჭე. კარგა ხანს მაინც ვერ მივეცი ძილს თავი, ბოლოს კი ჩამთვლიმა და — **„ნახ ჰაუზ! ნახ ჰაუზ!“** — ჩამესმა მძინარეს.

ძილი მაშინვე გამიკრთა და ისევ იგივე ძახილი გავიგონე. წამოვხტი, საცვლების ამარა აივანზე გავვარდი. გაჩირაღდნებული მოედნის შუაგულში შეზარხოშებული მამაკაცების ჯგუფი ირეოდა.

გასაკვირი და უცნაური არაფერი მომხდარა: ხომ გინახავთ მთვრალი ჩვენი თანამოძმენი, ზოგი რომ საკოცნელად ეტანება ახალგაცნობილ თუ ძველ მეგობარს, ზოგმა თვითონაც რომ არ იცის, რა უნდა, უბრალოდ გაიძახის ამოჩემებულ სიტყვებს (ერთი მათგანი სწორედ ამ სიტყვებს გაიძახდა წამდაუწუმ რატომღაც: **„ნახ ჰაუზ! ნახ ჰაუზ!“**) ზოგნი სიმღერის იშტაზე იყვნენ და ხარივით ზმუოდნენ.

დავინახე, რომ ჩემს მეზობელ ნომრებში მცხოვრები სტუმრებიც თითქმის დედიშობილა გამოცვივდნენ აივანზე და ერთხანს „ტკბებოდნენ“ მთვრალების ხორხოცით.

— ნუთუ წესრიგის დამცველებიც-ვერ-ვერ-ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

— სალამი უფროსო! შენს ადგილზე მე დამნიშნეს!

ჩემს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!

მე იმ ქალაქში ვცხოვრობ, სადაც ყველგან და ყველაფერში წარმატებებს აღწევენ. ამიტომ სადღესასწაულო განწყობილებაა არამარტო საყოველთაოდ მიღებული დღესასწაულების დროს, არამედ მუდმივად, მთელ ქალაქში, მის ყველა უბანში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქუჩაშიც კი!

ხალხი ერთსულოვნად იტაცებს ახალს, პროგრესულს და სიხარულით ნერგავს მას ცხოვრებაში. ასე დაწესდა ქუჩის დღესასწაულები.

ამას წინათ ერთი ქუჩის დღესასწაულს დავესწარი.

დილაადრიან ხმაურმა გამოაღვიძა ქუჩის ბინადარნი. ქუჩაში გამოიშალნენ კაცები, ქალები, ბავშვები!.. ისინი თავაზიანად ესალმებოდნენ ერთმანეთს, მოიკითხავდნენ. გაღიმებული და მხიარული სახეები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. თუმცა ხანგრძლივი ტკბილი საუბრის დრო არ იყო, მაგრამ ყველას აღტაცება ეტყობოდა, ყველა ჩქარობდა. ახმაურდა და გამოცოცხლდა ქუჩა. მალე ყურისწამღები ხმაურიც ატყდა. ქუჩაში გამოსული ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. გამოდიოდნენ და გამოდიოდნენ სადარბაზოებიდან, შესასვლელებიდან, ეზოებიდან!.. შევნატროდი მათ ერთსულოვნებას!..

საერთო სიხარულში მარტო მე ვჩანდი გამონაკლისი: ვიდექი ჩემთვის კუთხეში და ვნატრობდი: „როდის იქნება ჩემს ქუჩაზეც დღესასწაული?“

გახარებული და ახმაურებული ქუჩის მცხოვრებლების ალყაში მოქცეული ნაგვის მანქანა კი ივსებოდა და ივსებოდა ნაგვით!..

ლ. სულავა

«ნიანგის» სარეკლამო ბიურო

თბილისის საქალაქო საბჭოს ალმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველომ 1985 წელს დიდი ტირაჟით გამოსცა მეტად ორიგინალური გარეგნობის ბროშურა „მოგინადრის ცნობარი“. აღნიშნული პუბლიკაცია გამოირჩევა უნიკალური პოლიგრაფიული ღირსებებით, ყოველი ცალკეული ეგზემპლარი ფორმით ხან რომბია, ხან — ტრაპეცია, ხან — წაკვეთილი პირამიდა, ხან — პარალელეპიპედი. წყალწყალა ბროშურებისაგან განსხვავებით აქ წყალი კი არა, ჰაერიც გამოდევნილია მჭიდროდ ნაბეჭდი გვერდებიდან, მეტად გაბედულადაა ჩამოკვეთილი არეები და შეკვეცილია ტექსტიც: „...ვერაიონი“ რომ ქვერაიონად უნდა ამოიკითხო, ამას როგორ არ მიხვდება კაცი და, აბა, რა საჭიროა სიტყვების ნამეტნავად გავრცობა. ეს და სხვა რებუსები ტექსტს საინტერესოს ხდის.

ზემოაღნიშნულ ღირსებებთან ერთად „ცნობარი“ ისე გემრიელადაა ჩახაჭაპურებული ორთოგრაფიულ-პუნქტუაციურ-სტილისტური შეცდომებით, რომ პირდაპირ გიკვირს ტექსტის ასეთი სილაღე, რაც კარგად ესადაგება მრავალრიცხოვანი მკითხველის გემოვნებას.

„ — “

ვაზისუბნის დასახლების № 17 და № 18 კორპუსების მცხოვრებლები ყოველგვარი გულდაწყვეტის გარეშე ცვლიან ორივე კორპუსს თავისი კეთილმოწყობილი გარემოთი: ჩაბინძურებული წყლით სავსე თხრილით, სანეპიდსადგურის კომუნალური განყოფილების ტელეფონით, დაზიანებული კანალიზაციის მილებით, რომლებიც „არ უნდა ჩაელაგებინათ იმ ფენაში“, მაგრამ მაინც ჩაალაგეს, სავსე სანაგვე არხებითა და გულარხეინა სახლმმართველობით — ორ ტოლფას კორპუსზე ქალაქის ნებისმიერ რაიონში იმავე კეთილმოწყობით, ოღონდ სხვა ტელეფონითა და სახლმმართველობით.

„ — “

ქალაქ ბათუმში, კალიაევის შესახვევის № 4 სახლის მცხოვრებლები თავიანთ მშობლიურ კორპუსს უსასყიდლოდ სთავაზობენ ფილმ „კაცია-ადამიანის“ გადამღებ ჯგუფს, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი ბინა, მიმდებარე ტერიტორიით ძალიან წააგავს ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარს.

„ — “

თბილისში, გლდანის რაიონში, ლიბანის ქუჩის მე-6 კორპუსის ბინადარნი მშენებელთა საყურადღებოდ იუწყებიან, რომ მათი ბინა აშენებულია „მცოცავ ნიადაგზე“ და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია შესახლებულია, მისი მიმდებარე ტერიტორია კვლავაც განაგრძობს ცოცვას, ახლოს არ იკარებს ასფალტს, ბოლო ხანებში კი ტალახთან ერთად მოცოცავს ნაგავიც და სამშენებლო ნარჩენებიც.

განცხადებას თან ურთავენ კითხვას — **ხომ არ არის სახლი აშენებული მცოცავი გრაფიკით?**

სარეკლამო ბიუროს აგენტი **არდაინდო არდაშენია**

ნახ. ჯ. ლოლუაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამამისს რატომ მიულოცე დამთავრება?
— შვილზე უფრო ხშირად ეგ დადიოდა სკოლაში

ბიუროკრატი

იყო ერთი ბიუროკრატი. როგორც არც ისე იშვიათად ხდება, ამ ბიუროკრატს მაღალი პოსტი ეკავა. ჰქონდა დიდი კაბინეტი, საკმაოდ დიდი ხელფასი და დიდი უფლება-მოვალეობანი.

უფლებებს იყენებდა ყველგან და ყოველთვის, მოვალეობა კი ყოველთვის არ ახსოვდა!..

გადაშლილ საქაღალდეს საათობით უყურებდა. დროდადრო ფერადი ტელევიზორით ერთობოდა. როცა ჩათვლემდა, მოკლემეტრაჟიან ფერად სიზმრებს ხედავდა!..

ერთი შეხედვით მისი ცხოვრება თითქოს უზრუნველად მიდიოდა, მაგრამ — არა! იგი დღედაღამ ზრუნავდა... სკამზე! დიახ, სკამის დაკარგვისა ძალიან ეშინოდა და არც ისე უსაფუძვლოდ, რადგან ზევით მის მფარველ ბიძას წყალი ჰქონდა შეყენებული!..

თვითონ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სკამი მაგრად ეკავა. სხვები კი, და მათ შორის თანამშრომლები, სხვა აზრისა იყვნენ, ფიქრობდნენ, რომ ის სკამს ეკავა.

ხუთი ტელეფონი ედგა. მეხუთე ტელეფონით მდივანი აღვიძებდა და აგებინებდა, ვინ რეკავდა და რომელი ტელეფონით.

პირადი დიპლომი მიუთითებდა, რომ მიცემული ჰქონდა უმაღლესი განათლება. მაგრამ რაც მისცეს, მიიღო თუ არა, ამის შესახებ დიპლომში არაფერი იყო ნათქვამი.

ყველას უკვირდა, რომ ერთ ადამიანში ასე კარგად იყო შერწყმული, ერთი მხრივ, დიდი თანამდებობის პირი და, მეორე მხრივ, უპირო კაცი. ისე, პირიც ჰქონდა და მადაც.

დამადებით ბეცი იყო. ვერ ამჩნევდა ზღვარს პირადსა და სახელმწიფო საკუთრებას შორის. ალბათ ამის გამო ყველაფერს თავისად თვლიდა. ზოგჯერ არც თვლიდა, ისე... დაუთვლელად მიჰქონდა!..

საქმეს შორიდან ელოლიავებოდა. თითქოს დასამთავრებლად ვერ იმეტებდა და დიდი სიამოვნებით აჭიანურებდა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ... არაფერი ეკეთებინა!..

სულიც ჰქონდა და გულიც, თუმც ბევრი რატომღაც უსულგულო ადამიანად თვლიდა...

საკუთარი აზრი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა, აზრად არასდროს მოსვლია, ხელქვეითთა აზრები გაეზიარებინა. ასეთი რამ უაზრობად მიაჩნდა!..

ძალიან უყვარდა ზარზე ხელის დაჭერით მდივნის გამოძახება, „ბორჯომი“, ლიმონიანი ჩაი და საკუთარ თავზე ლაპარაკი...

მაგრამ ყველაზე უფრო უყვარდა მეხვალიეობა, ანუ საქმის ხვალისთვის გადადება, ამიტომ მთხოვნელებს ხშირად ეუბნებოდა, ხვალ შემოიარეთო!

ასე გრძელდებოდა წლობით და გეგონებოდა, ამას დასასრული არ ექნებაო, მაგრამ ერთხელ...

დიახ, ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც სათვალიანი კაცი შევიდა კაბინეტში უნებართვოდ, უფრო სწორად, იკითხა, თუ შეიძლებაო, და პასუხს არ დაელოდა, ისე შევიდა...

ბიუროკრატი შეცბა. ნერვულად წამოდგა, საქაღალდე დახურა, მაგიდის კიდეზე დადო და მისთვის ჩვეული ხმით თქვა:

— დღეს დრო არ მაქვს, ხვალ მოგიხდებათ მოსვლა!..

კაცმა სათვალე შეისწორა, ვითომ არაფერი გაუგონიაო, და მაგიდასთან ახლო დაჯდა.

ბიუროკრატი ცეცხლივით აენთო. ჯერ უნდოდა დაეყვირა, მერე კაბინეტიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე.

სტუმარმა მასპინძელს თვალი . თვალში გაუყარა:

— დიდ ბოდიშს ვიხდი, — დაიწყო დინჯად მან, — მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მაგ წინადადების მიღება არ შემიძლია, რადგან ნაბრძანები მაქვს თქვენგან თანამდებობა ჩავიბარო დღეს და არა ხვალ!..

ანთებული ბიუროკრატი ჩაქრა. მუხლებში სისუსტე იგრძნო და დაჯდა, მაგრამ ამჯერად... სხვის სკამზე!..

ელახა, მელახა,
ჭიქა მეკიდა უელახა.
ვინც ახეთ გზაზე დადგება,
ასე მოუვა ყველახა!

გიგლა გახტაძე

„სიცოცხლის ხეთი საჩუქარი“ ფილოსოფიური ოგავნი ადამიანებზე, უმიზნოდ რომ დაიტაცებიან კაპიტალისტური ჯუნგლების ცივ წყვდიადში, დამონებულები იმ სამყაროს მიერ. სადაც ყველაფერი იყიდება და აღარ რჩება ადგილი სამართლიანობისა და ბედნიერებისათვის, სადაც მხოლოდ სიკვდილი მოჩანს მონობიდან თავის დახსნის ერთადერთ იმედად.

I

სიცოცხლის გარიერაზე ადამიანს კეთილი ფერია გამოეცხადა ზარდახშით ხელში და უთხრა:

— აი, ჩემი საჩუქრები! ერთი აიღე, სხვები დამიტოვე, ოღონდ არჩევანი ბრძნული უნდა იყოს, რადგან ამ საჩუქრებიდან მხოლოდ ერთია ძვირფასი!

სულ ხუთი საჩუქარი იყო: დიდება, სიყვარული, სიმდიდრე, განცხრომა და სიკეთე!

ყმაწვილმა მოუთმენლად წამოიძახა:

— აქ დასაფიქრებელიც არაფერია! — და განცხრომა აირჩია.

აიღო და მისცა თავი ვრცელ ქვეყანას. ეძიებდა ტკბობას, განცხრომას, რაიც ასე—იზიდავს ახალგაზრდობას, მაგრამ ყოველი იყო მსგავსი წინარესი და, ერომანეთის მიყოლებით, ყველა უშინაარსო და წარმავალი აღმოჩნდა. ამაოებისგან გულგაბეხილს აბუზად იგდებდა ყოველი წარმავალი.

ბოლოს ეს აღმოხდა:

— მთელი ეს წლები ცუდუბრალოდ დავკარგე, კიდევ ერთხელ რომ მომეცემოდა არჩევანის საშუალება, ბრძნულ გადაწყვეტილებას მივიღებდი!

II

მაშინ კვლავ მოვიდა ფერია და უთხრა:

— ოთხი საჩუქარიღა დამრჩა. ერთხელაც აირჩიე, ოღონდ გახსოვდეს, დრო წარმავალია, ძვირფასი კი მხოლოდ ერთი საჩუქართაგანია!

დიდი ფიქრის შემდეგ კაცმა სიყვარული აირჩია, ოღონდ ვერ შენიშნა ფერიის თვალებში აბრწყინებული ცრემლი.

ბევრზე ბევრი წლის შემდეგ იგი ცარიელ სახლში, კუბოსთან იჯდა და საკუთარ თავს ეუბნებოდა:

— ერთიმეორის მიყოლებით წავიდნენ ისინი ჩემგან, ახლა ესეც კუბოში წევს, ყველაზე ძვირფასი და უკანასკნელი ჩემი სიყვარული, დანაკარგი დანაკარგზე დამატყდა თავს, ყოველი საათი ბედნიერებისათვის, რაც შემასყიდა მეზანათმა მაცდურმა სიყვარულმა, გადამახდევინა ურიცხვი საათების მწუხარებით.

მოელი სულითა და გულით ვწუეევი მას!



ᲛᲐᲠᲙ ᲢᲕᲔᲜᲘ

შესრულდა 150 წელი დიდი ამერიკელი მწერლის — მარკ ტვენის (სამუელ ლენგჰორნ კლემენსის) დაბადებიდან. იგი ერთხანს ლოცმანად მუშაობდა გემზე, რომელიც ალმა-დალმა ქსელივდა მდინარე მისი სიახლ, იდგა გემის კიბეზე, ზომავდა წყლის სიღრმეს და ყვიროდა „მარკ ტვენ!“ — ესე იგი, სიღრმე ორი ხ�მენია. ᲬᲧᲚᲘᲡᲬᲧᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡᲘᲗ! ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲔᲓᲒᲐ მისი ლიტერატურული ფსევდონიმი.

დაიბადა მისურის შტატის სოფელ ფლორიდაში, მაგრამ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მისისიპის ნაპირზე, ქალაქ ჰანიბალში გაატარა.

თავდაპირველად მარკ ტვენსაც სწამდა „ამერიკული სამოთხე“, მაგრამ მერე თანდათან ეალერმოდა მწერლის კონფლიქტი თავისი ეპოქის ამერიკასთან. მის ნაწარმოებებში სულ უფრო მეტი სიმძაფრით აისახა ჩამკვდარი ცხოვრების ხატი, რომელსაც ძალუძდა მოეცა მხოლოდ ზნეობრივად დაცემული, სიმდიდრის შეძენის წყურვილით შეშლილი პიროვნებები, რომელთაც შეეძლოთ ხელალებით დაემახინჯებინათ თავიანთი სულიერი სამყარო, ოღონდაც მატერიალური სიკეთე მიეღოთ.

III

— ერთხელაც აირჩიე! — უთხრა ფერიამ. — წლებმა, ალბათ, ჭკუა გასწავლეს. სამი საჩუქარიღა დამრჩა, მათგან მხოლოდ ერთი ღირს რამედ. გახსოვდეს ეს და ფრთხილად აირჩიე!

დიდი ფიქრის შემდეგ კაცმა დიდება აირჩია და ფერია ოხვრიით განერიდა მას.

გავიდა წლები. ერთხელ ფერია მოვიდა და სალამოს ბინდბუნდში დფიქრებით მედდარი კაცის ზურგს უკან დადგა. ეულის ფიქრები გასაგები იყო მისთვის:

„ჩემი სახელი მთელ ქვეყანას მოედო, ყველას ჩემი ქება ეკერა პირზე, და წამით ეს მშვენიერებად მომეჩვენა, მაგრამ რა მოყლე აღმოჩნდა ეს მყინი! იქვე წარმოიშვა შური, მერე — ავსატყვაობა, შემდეგ — ცილისწამება, შემდეგ — სიძულვილი, ამას მოჰყვა დევნა, შემდეგ — ბოროტი დაცინვა და ეს იყო აღსასრულის დასაწყისი. ბოლოს გამოჩნდა სიბრალული, სიბრალული კი დიდების საფლავია! ო, რა მწარე და უბადრუკია განთქმული კაცის ხვედრი — დიდების ზენიტში გეწვიოს ბინძური ცილისწამება, მზის ჩასვლისას — სიბრალული და თანდგომა“.

IV

— რა გიეწყობა, ერთხელაც აირჩიე! — გიფიკრიალა ფერიის ხმამ, — ორი საჩუქარიღა დამრჩა, მაგრამ გულს ნუ გიტეხ, თავიდანვეც ხომ მხოლოდ ერთი იყო ძვირფასი; ის კი ჯერჯერობით ისევ აქ არის!

ეს სიმდიდრეა, რაც ძალაუფლებასაც ნიშნავს!— წარმოთქვა კაცმა.—რა ბრმა ვიყავი! ბოლოს მაინც აზრს შეიძენს ჩემი სიცოცხლე. დავიწყებ ფულის ფანტვას, ჩემი ბრწყინვალებით დავაბრმავებ ყველს, მათაც, ვინც დამცინოდა და ვისაც ვეშულდი. ისინი ტალახში ამოსუნთქავენ ჩემს წინაშე და მე მათი შურით ვავიჩითოთ მოშიებული გული. ჩემთვის ხელმისაწვდომი იქნება მთელი მსოფლიოს ფუფუნება, ყველა მისი სიხარული, ყველა სულიერი განცხრომა და ხორციელი ტკბობა. ყველაფერს, რაც ძვირფასია ადამიანისათვის, შევიძენ! ვიყიდი პატივისცემას, ღირსებას, ხოტბას, თაყვანისცემას — სიცოცხლის ყველა ამ მოჩვენებით მოშინაბლაობას, რასაც კი შემომთავაზებს ყოფიერი ამაოების ბაზარი. მე წლებში დავკარგე არასწორი არჩევანით. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, მაშინ გამოუცდელი ვიყავი და ამიტომ ვირჩევდი იმას, რაც გარეგნულად უკეთესი მეჩვენებოდა!

შეუმჩნევლად გაირბინა სამმა წელმა და, აი, დადგა დღე, როცა სიცივისაგან აცახცახებული კაცი უბადრუკ მანსარდში იჯდა გაფითრებული, დაქანცული და თვალებაბაცებული. ტანზე ძონძები ეცვა, ხმელ ქერქს ლოღნიდა და ბუტბუტებდა:

— წყეული იყოს ამ ქვეყნის ყველა საჩუქარი, რადგან ყოველი მათგანი აბუჩად აგდება და მოოქროვილი სიყალბეა და ყოველი მათგანი ცრუ სახელს ატარებს. ისინი საჩუქრად კი არა, დროებით სამხარად ეძლევა კაცს. სიყვარული, განცხრომა, დიდება, სიმდიდრე — მხოლოდ დროებითი სამოსელია სიცოცხლის მარად არსებული ჭეშმარიტებებისა — მწუხარების, ტკივილის, სირცხვილისა და სიღარიბისა. მართალი მითხრა ფერიამ: ყველა საჩუქრიდან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილად ძვირფასი, მხოლოდ ის ერთი არ იყო ცარიელი და გამოუსადეგარი. ახლა კი შევიცანი, რა უბადრუკი და არარაობაა ყველა მისი დანარჩენი საჩუქარი იმ ერთადერთის და უძვირფასესის გვერდით, რომელიც მით უფრო მოწყალე და კეთილია, რომ შეეძლია სამუდამოდ ჩაგვეროს უსიზმრო ძილში, გვიხსნას სხეულის მტანჯველი ტკივილებისაგან, სირცხვილისა და მწუხარებისაგან, სულს რომ გვიძიძგნიან, ო, მომეცით იგი, მე დავიღალე, დასვენება მწადია!

V

ფერია მოვიდა და კვლავ მოიტანა ოთხი საჩუქარი, მაგრამ მათ შორის სიკეთილი აღარ იყო.

— მე ის საჩუქარი ქორფა ბავშვს მივეცი, დედის თვალისჩინის, ის ჯერ ისევ უგუნური იყო, მაგრამ ენდო ჩემს არჩევანს, შენ კი არ დამიჯერე!

— ო, რა უბედური ვარ! მაშ, რაღაა ჩემი ხვედრი?

— ის, რაც შენ არც კი დაგიმსახურებია — უაზრო შებღალვა სიცოცხლისა, რომლის სახელია სიბერე!

თარგმნა ელგუჯა ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ

ილუსტრაციები Ზ. ᲚᲝᲚᲣᲐᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ქართული წიგნებიდან

- **ოფლითა** პირითა შენისათა ჭამდე პურსა შენსა!
- **უბრალოი** და მართალი არა მოჰკლა და არა განამართლო ულმრთოი ქრთამითა!
- **ძღვენმან** და ქრთამმან დაუბრმნის თვალნი ბრძენთანი.
- **ნუ** ჰქრთამობ და შესწირავ, რამეთუ არა შეიწიროს!
- **ცეცხლმან** დაწვნეს სახლნი მოქრთამეთანი!
- **გველი** მზაკუვარი არს, ამისათვის დაესაჯა მას, რაითა ცურვიდეს მკრდითა თვისითა.
- **ნუ** ესავთ სიცრუესა და ტაცებად ნუ გული გითქვამნ!
- **რომელნი** ტაცებასა მას თანა-შემწე და თანა-მზრახვალ და ძალ-მიმცემელ იყვნენ... განიდევნენ.
- **მტაცებელი** არა განძლა და არცა მოიქცა უმჯობესისა მოპოვნებად.
- **მონაგებთა** მათ, რომელთა მოიტაცებდა უმშჯავროდ კაცთაგან, ამით განიგებდა საქმეთა თვისთა ხელმწიფეთა თანა უფროსთა თვისთა.
- **ვაი** არს მისა, რომელი მოიტაცებს და შეჰკრებს სხვისა მონაგებთაგან, რამეთუ სატანჯველი განმზადებულ არს მისა.
- **არა** ავნო მოყვასსა შენსა და არცა მოსტაცო!
- **სიმდიდრეი** იგი მისი ყოველი იყო მიხვეჭითა.
- **იყო** სიქადულ მისა ტაცებაი, მოხვეჭაი და უსამართლოვებაი.
- **ფრიადისა** მტაცებლობისა და მოხვეჭისა ქმნითა შეკრიბა ვერცხლისა და ოქროისა სიმრავლე მიუწდომელი.
- **არს** მგელთა ქორწილი და სიხარული, უკუეთუ მწყემსმან დაიძინოს. განრყვნაი მათი უფროის ჭამისა არნ. მომხვჭელი ზომსა ვერ იწონის მოტაცებისასა. კვამლი მავნებელ არს სახედველთა და უმშჯავროებამან დააბრმის ბრძენი.
- **და** შჯული ბრძანებს, რაითა ყოველთა მომხვეჭელთა ეუფლოს სიცოფე.
- **მდიდარი** იტანჯებოდა ამისათვის, რამეთუ იგი ხოლო მარტოი ჭამდა და სხვასა არავის უნაწილებდა მისგანსა, რომელსა-იგი ჭამდა; და რავდენ სხვათა არა სცემდა, ამისთვის იტანჯებოდა. აწ რავდენ უფროის იტანჯოს, რომელი ჭამს სხვათა მონახვეჭსა უსამართლოდ!
- **დედა** არს ყოველთა ვნებათა ცუდი დიდებაი.
- **პირუტყვმან** იცნის მომგებელი თვისი, ხოლო მთრვალმან არა იცნის მეზობელი თვისი.
- **აქვს** ენაი წვრთილი და განშიშვლებული ტყუვილისათვის.
- **ევლტოდე** ღვინისაგან, ვითარცა გველისაგან!
- **შენ** გძულს მცირე გველი და შინაგან შენსა დამკვიდრებულ არს დიდი ვეშაპი!
- **ვითარცა** გარდასცთის კაცი ღვინითა, უფროის პირუტყვისა უგუნურ იქმნის.
- **ტყუილი** არა ხოლო ჭეშმარიტებისა, არამედ თვით თავისაცა თვისისა მბრძოლ არს.
- **კაცი** პატივსა შინა იყო და არა გულისხმაყო, ჰბაძვიდა პირუტყვთა და მიემსგავსა მათ.
- **გული** თვალს აცლის, ქრთამი ორსავ სცვლის.
- **ვერცხლზე** ვინც სულსა გაჰყიდის, მით მოიყიდის რასაო?!
- **ვერ** შეჰსვრის მწვირე ნათელსა, სხივთა და მზისა მზობასა.
- **მახესა** არვინ გაებმის, თუ არ სიხარბის მდომელი.
- **სვავი** ძვალს ყლაპავს სიხარბით, რას არგებს გასაძლომელად?
- **ბოროტის** სიხარბისაგან კაცს გაუცვდება დიდება, ვინცა მოითმენს, უთუოდ ღვთის კალთას მოეჭიდება.
- **გულბოროტ** კაცსა ერიდე, ნუ გავლი მისა არესა!
- **კეთილის** მოქმედს კეთილი წინა უც მოსაგებელად, ბოროტისათვის — ბოროტი, ცეცხლისა მოსადებელად.
- **ავის** მოქმედმან მოიგოს მისივ ნაქმარი ავები, ნაცვლად მიეცეს საჭიროდ თვისივე დანაშავები.
- **ავსა** ავი არ მიეგოს, მსჯავრი რითღა აიწონოს?
- **ავსა** იქმ და კარგი გინდა, ესე ვინმცა მოიგონა?!
- **მუმლო**, ფასკუნჯის ადგილი საფრენად რისთვის გწადიან?
- **დიდი** ქვეყანა მოუწვავს ენასა მაბეზღრისასა.
- **ენისა** დანაკოდარი ხმლისაგან უარესია.
- **ნუ** იქმ ავსა, ავის მქნელსა წინა უძეს დიდი ავი!
- **მუხთალი** კაცი ვერ კაცობს, ეს სცანით გლახა, მდიდარმა!
- **ვინც** სხვასა მთხრებლსა უთხრიდეს, მან თავის ზომა მოთხაროს.
- **ღვარძლის** მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრითა ცელითა.
- **ბოროტ** არს მელვინეობაი და მაგინებელ არს სიმთრვალე.
- **იქმნის** შფოთი და გულის-წყრომაი გარდარეულთა საჭმელთა და სასუმელთაგან.
- **და** ჯერ-არს ჩვენდა, რაითა არა უძღებებით მივიღებდეთ საზრდელსა, არცა გარდავერინეთ სასმელსა.
- **საჭმელმან** და სასუმელმან დაამდაბლიან კაცი და მიაწიიან სახესა პირუტყვთასა.
- **ღვინოსა** ზედა ნუ ჰმამაკაცობ, რამეთუ მრავალნი წარწყმიდნა ღვინომან!

შეკრიბა **ალექსი ჭინჭარაულმა**

ნახ. ნ. ასლანიშვილისა



უსიტყვოდ

დაკარგული სიყვარული

(დატირება)

შენ სულ სხვა ცეცხლოვანი იყავი. ამიტომ ვერასოდეს შევადარებ შენს სიყვარულს ცოლის სიყვარულს. ბევრი ღამე გამიტარებია, ბევრი ტკბილი წუთი მიგვმია შენთან. ბევრჯერ მახალისებდი და მათბობდი სისხლით ხორცამდე. შენთან ერთად ქვეყანა ყოველთვის ჩემი მეგონა!..

ახლა?

ვაგლახ, დაგკარგე!..

უღვთოდ წამართვეს შენი თავი, ჩემო საყვარელო, დაუვიწყარო, კარგა ზორბა საარაყე ქვაბო!..

ლია ოსიაშვილი

— ტექნიკურ კონტროლიორებს რომ ვუყუროთ, ჩვენ გეგმის შემსრულებლები ვართ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაშს ის მიკრავს!..

მოხსენებას თვალი ჰკიდა,
ფურცლა, ბდღვირი ადინა!..
ენას ვერცხლი დაეკიდა,
მერე — ოქრო, პლატინა!..

გჭრის!.. არა, გთლის, როგორც სათალს,
შენ კი უნდა უღრიჭო!..
სხვის ნიჭს წონის, თავად მართლა
უნდილი და უნიჭო!..

გამოვიდა ალიბიდან,
მაგრამ ველარ — როლიდან!..
გან-გან გასდო განივი და —
აბა, ერთი, ორი და!..

ახსნა, კი არ მოხსნა გუდა
იმ უპირო პირითა, —
ჩაუღრმავდა, ჩაუდუმდა,
აზრი ჩააქვირითა!..

შეგვაპარა ლოდი კენჭად,
წყალთან ჩაალიკლიკა!..
სანახევროდ ლორი ლეჭა,
სანახევროდ — ლირიკა!..

მოიქურდა, მიიქურდა,
ხელს არავინ არ ადებს!..
ლაპარაკით გადახურდა —
საწმინდეზე ქადაგებს!..

გაიმართა წელში საქმე,
კითხვას თავი ანება!
(ქებას ელის! თუ არ აქე,
იცის დანიავება!).

რას გახდები კალმის მოსმით?!
ვერ ვამშვიდებ წვეულებს,
უწიგნური „კლასიკოსის"
ნახვით გაოგნებულებს!..

. . .
თუმც ბრალდებად ამ ლექსს ვუწვდი, —
ვუმტვრევ განა ხერხემალს?
ტაშს ის მიკრავს სხვაზე უწინ —
ვითომ... მას არ ეხება!

ზაზა კაციაშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა

— წაგიყვანო თუ გავიყოთ?

„გაუყიდველს"

გუშინ რომ ძეხვი მომყიდე
და გადამირჩი უშაროდ,
სასწორს რომ ცერსაც აწონი,
შენი ჯიბისთვის ვმუშაობ?!

ნაირა ლეშკაშელი

ნახ. დ. თოთიბაძისა

— წელს სად მიდიხარ დასასვენებლად?
— საგზური და ბალახი თუ ვიშოვე, საირმეში!

კურსებმა უშველა

ბენია ბენდუქიძეს მოზრდილი საწყობის გამგეობაზე ეჭირა თვალი, პროტექტორიც იშოვა და სარეკომენდაციო ბარათით ტრესტს მიაშურა.

— პოლიკარპოვიჩი მელაპარაკა თქვენს შესახებ, — უთხრა მმართველმა ბენიას, როგორც კი ბარათი ჩაიკითხა, — მიდით კადრების განყოფილებაში, გაგაფორმებენ!

— თქვენი განათლება? — ჰკითხა ზრდილობისათვის კადრების ინსპექტორმა.

— საშუალო სკოლა დავამთავრე. — იყო პასუხი.

— ტექნიკუმი მაინც გქონდეს დამთავრებული!

— არ მიცდია!

— კურსები თუ გაგივლია?

— კურსები? — ბენიას სახე გაუბრწყინდა. — კი ბატონო, ბევრჯერ.

— ჰოდა, შე კაი კაცო, აგრე თქვი, რამდენჯერმე კურსების გავლა ერთი პატარა ტექნიკუმის დამთავრებას ქე უდრის. — დაამშვიდა ბენია კადრების მუშაკმა და თვითონაც შვებით ამოისუნთქა.

ბენია ტყიბულელი იყო და ქუთაისში ხშირად დადიოდა... სადგურ კურსების გავლით. აი, სად გამოადგა კურსები — კაცი დიდი საწყობის გამგე გახდა!

ვაჟა სოხაძე



— აშშ-ს პრეზიდენტმა მიაღწია იმას, რომ კონგრესს მიეღო კანონპროექტი, რომელიც ასუსტებს კონტროლს ცეცხლმსროლელი იარაღის გაყიდვაზე ქვეყნის შიგნით და საშუალებას იძლევა ივაჭრონ ამ იარაღით აშშ-ს ნებისმიერ წერტილში.

590
16.IX 1986

კაპიტოლიაცია

ნახ. გ. ლომიძისა

ჟურნალი „კროკოდილი"

ქორმა
წიწილა
წაილო!..

...ქორმა წიწილა წაილო.
იძახდა „წიავ-წიავსა!"
აქტებს აქტებზე ადგენდნენ,
ქორს აბრალებდნენ ზიანსა!..
ფერმის ხვავი და ბარაქა
სახლში მიჰქონდა ძიასა,
ჰქონდათ ურიცხვი ქონება
მას და მის რევიზიასა!..
გამგეს იცნობდნენ, როგორც კაცს,
უხვსა და დოვლათიანსა!..
კომბინაციის დიდოსტატს,
გაქნილ საქმოსანს, ფხიანსა.
მაგრამ ერთ დღესაც პირნათლად
ვერ დახვდნენ კომისიასა, —
ნამუსის ხალხი ეწვია
ნამუსგარეცხილ ძიასა!..
ფარდა ახადეს ბნელ საქმეს,
ბინძურს და მოკლედღიანსა!..
გამგის დაჭერის ამბავი
ველად გაჰქონდა ნიავსა!..

ნიკოლოზ იოსებიძე

წერილი ეცხეთიდან

ჩვენო იმედო, მშველელო,
შეუპოვარო ნიანგო,
ჩვენს გასაჭირზე სათქმელი
გვინდა, რომ ლექსად გიამბოთ:
ცხელი წყალი და გათბობა
არა გვაქვს დიდი ხანია,
ამის შესახებ წერილი
სადღა არ გაგვიგზავნია,
პასუხებიც გვაქვს, დასტურიც,
ბოილერებიც, საქვაბეც,
ათი წელია იმედმა
გაგვაძლებინა აქამდე.
ნუთუ რკინიგზის მუშაკებს
არ გვთვლიან კაცთა სიაში,
შენობა-ნაგებობათა
ხაშურის დისტანციაში?
შვიდი მილია საჭირო,
საქმე რომ მორჩეს ბოლომდი,
ნიანგო, იქნებ უშველო
ჩვენს ამდენი ხნის მოლოდინს!

ბარათი მიიღო
ნანა ჯაჯანაშვილმა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 17 (1723). სექტემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ზაურ ბოლქვაძე** (მთავარი რედაქტორი), **ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

●

გადაეცა ასაწყობად 4. 08. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2. 09. 86 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 1847, უე 05150. ტირაჟი 143.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქ ა ნ ი ს — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ინდექსი 76137
ფასი 20 კაპ.

7-86
86-590

ნახ. ბ. აბაშიძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

დავით აღმაშენებელი
და
დავით აშენებული